შენ მიხვალ ხალხთან, რომლებიც წიგნის ხალხია. როცა მათთან მიხვალ, მოუწოდე მათ, რომ დაამოწმონ: არ არსებობს ღმერთი, გარდა ალლაჰისა და რომ მუჰამმადი ალლაჰის მოციქულია

იბნ აბბასისგან გადმოცემულია (ალლაჰი იყოს მისით და მისი მამით კმაყოფილი), რომ მან თქვა: «უთხრა ალლაჰის მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მუაზ იბნ ჯაბალს, როცა იემენში გააგზავნა: „შენ მიხვალ ხალხთან, რომლებიც წიგნის ხალხია. როცა მათთან მიხვალ, მოუწოდე მათ, რომ დაამოწმონ: არ არსებობს ღმერთი, გარდა ალლაჰისა და რომ მუჰამმადი ალლაჰის მოციქულია. თუ ისინი დაგემორჩილდებიან ამაში, აცნობე მათ, რომ ალლაჰმა სავალდებულო გახადა მათთვის დღეში ხუთჯერ ლოცვა. თუ ისინი დაგემორჩილდებიან ამაში აცნობე მათ, რომ ალლაჰმა დააკისრა მათ ზაქათი, რომელიც მდიდრებიდან უნდა იყოს აღებული და ღარიბებისთვის გადაცემული. თუ ისინი დაგემორჩილდებიან ამაში, ფრთხილად იყავი, რომ არ წაართვა მათ საუკეთესო ქონება და ერიდე დაჩაგრულის წყევლას, რადგან მის ვედრებასა და ალლაჰს შორის ბარიერი არ არსებობს».

როცა მოციქულმა მუჰამმადმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) მუაზ იბნ ჯაბალი (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) იემენში ალლაჰის გზაზე მოსახმობად და სწავლების მიზნით გაგზავნა, მან განუმარტა, რომ მას შეხვდებოდა ხალხი, რომლებიც ქრისტიანები იყვნენ, რათა მუაზი მზად ყოფილიყო მათთვის. მან ურჩია, რომ მათი მოწოდება დაწყებულიყო ყველაზე მნიშვნელოვანით, შემდეგ კი თანმიმდევრულად გაეგრძელებინა ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე ყურადღების გამახვილება. პირველ რიგში, მუაზს უნდა დაეწყო მოწოდება მრწამსის გამოსწორებით, რომ დაემოწმებინათ: რომ არ არსებობს ღმერთი გარდა, ალლაჰისა და რომ მუჰამმადი ალლაჰის მოციქულია. რადგან ამ სიტყვებით ისინი ისლამში შევლენ. და თუ ისინი დაემორჩილებიან ამ მოწოდებას, შემდეგ უბრძანე მათ ლოცვის შესრულება, რადგან ის თაჰვიდის შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი ვალდებულებაა, თუ ისინი ლოცვაზე დაადგებიან, უბრძანე მათ მდიდრებს, რომ თავიანთი ქონებიდან ზაქათი ღარიბებს მისცენ. შემდეგ გაფრთხილება მისცა, რომ არ აიღოს მათი ქონების საუკეთესო ნაწილი, რადგან ვალდებულება არის ქონების საშუალო ნაწილის მიცემა. შემდეგ მუაზი დაარიგა, რომ თავი აერიდებინა უსამართლობის ჩადენისგან, რათა დაჩაგრულმა არ მოუხმოს ალლაჰს მის წინააღმდეგ, რადგანაც დაჩაგრულის ვედრება მიღებულია.

النجاة الخيرية
ALNAJAT CHARITY

لجنة الدعوة الإلكترونية
EDC E-Da'wah Committee